ხელშეკრულება N110/17

ქ. თბილისი

1 ნოემბერი, 2017 წელი

მუხლი 1. მხარეთა იურიდიული სტატუსი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია" (შემდგომში „შემსყიდველი"), მის. ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.N19, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ზაალ ჩომახიძის სახით

და, მეორეს მხრივ, შპს ,,4 სერვის ჯი სეილს" (შემდგომში ,,შემსრულებელი''), წარმოდგენილი დირექტორის (2771307575, CO983721, სერგეი პაშკოვსკი, უკრაინა) მინდობილი პირის გიორგი ცინცაძის (მოქმედი 05.05.2015-დან (#HAM274269) მინდობილობის საფუძველზე) სახით, მისამართი ქ.თბილისი ჩიქოვანის ქ. #36.ბ.23 , ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის " ს1 ქვეპუნქტის და შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ, მონიტორინგისა და კონტროლის მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) შესყიდვა **(CPV 71700000)** გამარტივებული შესყიდვის გზით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მონიტორინგისა და კონტროლის მომსახურების გაწევა. შესასრულებელი მომსახურების აღწერილობა მოცემულია დანართში N1 და N2.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4950** (ოთხიათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარს. შესასრულებელი მომსახურების ერთეული ფასები მოცემულია დანართში N3.

3.3. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.4. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე

შემსყიდველი

მიმწოდებელი

განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, დანართებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

4.2. ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის თანამშრომელი თამარ პარუნაშვილი.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით.

4.4. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ანალოგიურ სფეროში დადგენილ სტანდარტებსა და ხარისხს.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხორციელდება 2017 წლის 3 ნოემბრიდან 2018 წლის 15 მაისამდე.

5.2. შემსყიდველისათვის შემოწმების შედეგების მიწოდება ხორციელდება ტექნიკური დავალების გათვალისწინებით

5.3. მომსახურება შემსყიდველის მიერ ჩაბარებულად ითვლება მიმწოდებლის მიერ გაწულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.4. მიღება ჩაბარების აქტი ფორმდება ინსპექტირების დასკვნის შედგენიდან 10 სამუშაო დღეში.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, ეროვნულ ვალუტაში

6.2. გაწეული მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში (იმის მიხედვით რომელიც უფრო გვიანაა შემსყიდველთან წარმოდგენილი).

6.3. ანგარიშსწორებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 7. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება, ამასთან შესრულება იმდენად აშკარა და ნათელი უნდა იყოს, რომ არ იწვევდეს შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების ეჭვს;

7.1.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

7.1.3. მოითხოვოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გონივრულ ვადაში გამოსწორება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1. ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, დანართი N1-და N2-ის შესაბამისად;

7.3.2. ობიექტზე თითოეული კვლევის პროცესი დაადასტუროს სათანადო მტკიცებულებებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით ჩაატარებს იმავე ობიექტზე ხელახალ კვლევას შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში;

7.3.5. დაკვირვების პროცესში მომხმარებლის კვლევასთან დაკავშირებით ამოცნობის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამოცნობის ადგილზე ხელახალი კვლევის საკუთარი ხარჯებით ჩატარება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში;

7.3.6. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, ასეთი ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში, გამოსასწორებელი ნაკლის შინაარსის და მოცულობის გათვალისწინებით;

7.3.7. აანაზღაუროს შემსყიდველის კონფიდენციალური ინფორმაციის არასანქცირებულად გადაცემით მიყენებული ზიანი.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

მუხლი 8. პერსონალური ინფორმაციის დამუშავება, კონფიდენციალობის დაცვა

8.1. კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შესრულებისას, არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის გადაცემას, გამოქვეყნებას/გავრცელებას ან/და სხვა, თავდაპირველ (მხარეთა შორის შეთანხმებულ) მიზანთან შეუსაბამო მიზნით გამოყენებას შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნული ინფორმაციის შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე მესამე პირისთვის გადაცემის, გავრცელების ან/და გამოყენების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან ან ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. შემსყიდველი მონიტორინგს უწევს მიმწოდებლის მიერ მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავებას, შესაბამისად:

8.2.1. მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების შესრულებისას დამუშავებული კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა განთავსდეს და დამუშავდეს აპარატურაზე, აგრეთვე სპეციალურ პროგრამაზე/პორტალზე რომელიც არ იქნება წვდომადი საჯარო სივრციდან.

8.2.2. მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების

შემსყიდველი მიმწოდებელი

შესრულებისას შეგროვებულ მატერიალურ და ელექტრონულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე დაშვების უფლება უნდა ჰქონდეთ, შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმებით, მიმწოდებლის მიერ ავტორიზებულ პირებს.

8.2.3. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას მატერიალური ფორმით მოპოვებული საწყისი მასალა უნდა გადასცეს შემსყიდველს დალუქული კონვერტით და მითითებით, რომ შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

8.2.4. მიმწოდებელმა სპეციალურ პროგრამაზე/პორტალზე წვდომის პაროლები შემსყიდველს უნდა გადასცეს შეგროვებული და დამუშავებული მატერიალური და ელექტრონული მასალისაგან დამოუკიდებლად ელექტრონული ან მატერიალური ფორმით.

8.3. მიმწოდებელი და მის მიერ დაქირავებული ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებაში (ან/და ამგვარი ინფორმაციის ორგანიზებაში), ვალდებულია არ გასცდეს მისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით ან/და შემსყიდველისგან მიღებული სხვა დავალებებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას (მიმწოდებლის მიერ დაქირავებულ ნებისმიერ თანამშრომელს) ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

8.4. მიმწოდებლის მიერ საქმიანობის შეწყვეტის, მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია და შეწყვიტოს პროგრამაზე/პორტალზე განთავსებულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა.

8.5. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია გაანადგუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას დამუშავებული კონფიდენციალური ინფორმაცია და შეწყვიტოს პროგრამაზე/პორტალზე განთავსებულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა.

8.6. კონფიდენციალურ ინფორმაციად ითვლება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^1 და 27^2 მუხლებით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემები და კომერციული საიდუმლოება. კერძოდ, პერსონალურ მონაცემად მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა, ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის

შემსყიდველი

მიმწოდებელი

გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ოდენობით.

9.2. დანართით N2 გათვალისწინებული თითო შეუსრულებელი კვლევისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი კვლევის ღირებულების 50%-ს ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულებას, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4,. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, რაც არ არის გამოწვეული მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულებას ოდენობით.

9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლომ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულებას.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის თაობაზეც, მეორე მხარეს უნდა აცნობოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე.

10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.5. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ვადადამდგარი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ფორს–მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

შემსყიდველი | მიმწოდებელი

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 ივნისამდე.

მუხლი 14. ზოგადი დებულებები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

14.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, სამი ეგზემპლარი შემსყიდველს).

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	შპს ,,4 სერვის ჯი სეილს“ ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქ.#36, ბ.23
ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N19 სს „თიბისი“ ბანკი ბანკის კოდი: TBCBG22 ა/ა GE60TB7727133030100001 ს/კ 204400200	ს.ს. „თიბისი ბანკი“ საბანკო კოდი - TBCBGE22 ანგარიში: GE72TB7863836020100005 ს/კ: 405095329
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ნინა ჩოფიტაძე	მინდობილი პირი გიორგი ციწაგაძე

დანართი N1

ტექნიკური დავალება

1 შესყიდვის ობიექტი:

მომსახურების ხარისხის კვლევა (კონტროლი და მონიტორინგი)

2 კვლევის მიზანი

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საქმიანობებზე სს „თელასის“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (შემდგომში - საწარმო), მიერ საცალო მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის შემოწმება ახალი მომხმარებლის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე, აგრეთვე წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებისას ან/და სიმძლავრის გაზრდისას.

3 კვლევის ამოცანები

აღნიშნული კვლევით ხდება საწარმოს მიერ საცალო მომხმარებელზე გაწეულ მომსახურების პროცესზე გარეგანი დაკვირვება, ამასთან:

3.1 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - შემსყიდველი) 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილებით დამტკიცებული "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებთან“, 2009 წლის 9 ივლისის N12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებთან“, 2008 წლის 26 ნოემბრის N32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებთან“ და 2016 წლის 25 ივლისის N13 დადგენილებით დამტკიცებულ „მომსახურების კომერციული ხარისხის წესებთან“ მომსახურების პროცესის შესაბამისობის გაზომვა და შეფასება;

3.2 საწარმოების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მომსახურების პროცესის დასახვეწი მხარეების იდენტიფიცირება;

3.3 გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება და მომსახურების ხარისხის ამაღლება მომსახურების გამწევი კომპანიის (შემდგომში - მიმწოდებელი) კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით.

4 ტერმინთა განმარტება

4.1 კვლევის მეთოდი - კონსულტაცია, პროცესზე დაკვირვება, პროცესზე სრული დაკვირვება, სატელეფონო გამოკითხვა.

4.2 კონსულტაცია - საწარმოს მომსახურების ცენტრში რეალური ან არარეალური მომხმარებლის მეშვეობით განხორციელებული კვლევა, რომელიც მოიცავს საწარმოს მომსახურების ცენტრში და საწარმოს ქმედებებზე დაკვირვებას, ოპერატორთან კონსულტაციის გავლას, განაცხადის ჩაბარებას ან ჩაბარების მცდელობას.

4.3 დაკვირვება - რეალური მომხმარებლის მეშვეობით საწარმოში განაცხადის რეგისტრაციის შემდეგ მიღებულ და მისაღებ მომსახურებაზე განხორციელებული კვლევა (განაცხადის ჩაბარების შემდგომ პერიოდს, მოთხოვნის დაკმაყოფილების ჩათვლით).

4.4 სრული დაკვირვება - რეალური მომხმარებლის მიერ, საწარმოს მომსახურების ცენტრის შეფასება, საწარმოში განაცხადის ჩაბარება და სრულ პროცესზე დაკვირვება, მომარაგების დაწყების (მოთხოვნის დაკმაყოფილების) ჩათვლით.

4.5 სატელეფონო გამოკითხვა - იმ მომხმარებლის სატელეფონო გამოკითხვა რომლებმაც მიიღეს ახალი მომხმარებლის მიერთების ან/და სიმძლავრის გაზრდის მომსახურება.

4.6 მომხმარებელი - არარეალური განზრახვის მქონე მომხმარებელი, რეალური განზრახვის მქონე მომხმარებელი, მათ შორის რეალური განზრახვის მქონე მომხმარებლის მინდობილი პირი.

4.7 შემოწმების ეტაპი - ამ ტექნიკური დავალების 5.3.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული დროის პერიოდი, რა დროშიც უნდა დასრულდეს დანართი N2-ის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედებები.

4.8 გადამოწმების ეტაპი - ამ ტექნიკური დავალების 5.3.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული დროის პერიოდი, რა დროშიც უნდა დასრულდეს დანართი N2-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოქმედებები.

5 კვლევის განხორციელების ეტაპები, რაოდენობა, ვადები და ანგარიშები, პრეზენტაციები:

5.1 კვლევის განხორციელების ეტაპები:

5.1.1 „შემოწმების ეტაპი";

5.1.2 „გადამოწმების ეტაპი".

5.2 კვლევის რაოდენობა ორივე ეტაპისათვის:

5.2.1 „კონსულტაცია" - 12;

5.2.2 „დაკვირვება" - 9;

5.2.3 „სატელეფონო გამოკითხვა" - 72.

5.2.4 „სრული დაკვირვება" უდრის ერთი „კონსულტაციის" ღირებულებას დამატებული ერთი „დაკვირვების" ღირებულება. ასეთი კვლევა ჩაანაცვლებს ერთ „კონსულტაციას" და ერთ „დაკვირვებას".

5.3 კვლევის ვადები და ანგარიშები:

5.3.1 „შემოწმების ეტაპი" უნდა დაიწყოს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილების მინიჭებიდან (არაუგვიანეს 2017 წლის 3 ნოემბრისა) და უნდა დასრულდეს 2018 წლის 15 იანვარს.

5.3.2 „შემოწმების ეტაპზე" შემსყიდველთან წარმოდგენილი უნდა იქნას „შუალედური ანგარიში" კვლევის მიმდინარეობის შესახებ შემდეგი პერიოდულობით:

5.3.2.1 I „შუალედური ანგარიში" - 2017 წლის 1 დეკემბრამდე;

5.3.2.2 II „შუალედური ანგარიში" - 2017 წლის 20 დეკემბრამდე.

5.3.3 „გადამოწმების ეტაპი" - 1 მარტიდან - 2018 წლის 15 მაისამდე.

5.3.4 „გადამოწმების ეტაპზე" შემსყიდველთან წარმოდგენილი უნდა იქნას „შუალედური ანგარიში" კვლევის მიმდინარეობის შესახებ შემდეგი პერიოდულობით:

5.3.4.1 I „შუალედური ანგარიში" - 2018 წლის 23 მარტამდე;

5.3.4.2 II „შუალედური ანგარიში“ - 2018 წლის 20 აპრილამდე.

5.3.5 კვლევის თითოეული ეტაპის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველთან წარმოდგენილი უნდა იქნას „საბოლოო ანგარიში“.

5.4 პრეზენტაციები

5.4.1 მიმწოდებელი ვალდებულია „შუალედური ანგარიშის“ და „საბოლოო ანგარიშის“ წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს კვლევის შედეგების პრეზენტაცია.

5.4.2 კვლევის შედეგების პრეზენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შესრულებული სამუშაოს ანალიტიკური და გრაფიკული ანგარიშით, თითოეული საწარმოს მიხედვით კვლევისას გამოვლენილი დარღვევების დაჯგუფებით, საწარმოების შედარებითი ანალიზი დასკვნებით და რეკომენდაციებით მომსახურების ხარისხისა და კონტროლის მექანიზმების გაუჯობესების თაობაზე, ასევე დარღვევების და ხარვეზის გამომწვევი მიზეზების მითითებით. პრეზენტაციაში მოცემული უნდა იყოს:

5.4.2.1 საწარმოების ჩამონათვალი შესრულებული დაკვირვების პროცენტის მითითებით;

5.4.2.2 თითოეულ საწარმოზე რა სახის კვლევა განხორციელდა (კვლევის ობიექტი);

5.4.2.3 საწარმოს თითოეულ კვლევის ობიექტზე რამდენი დაკვირვება განხორციელდა;

5.4.2.4 საწარმოს კვლევის ობიექტზე გამოვლენილი ერთგვაროვანი დარღვევები და დარღვევების რაოდენობა;

5.4.2.5 თითოეული საწარმოს შემაჯამებელი ანგარიში ყველა კომპონენტის მიხედვით ჩაშლილად და ჯამური ქულა (Microsoft Excel-ფორმატში).

5.4.2.6 ინფორმაცია კვლევაში მონაწილე პირების სტიმულირების ეფექტურობის შესახებ, როგორც შესრულებული სამუშაოს მიმართ, ისე სამომავლო მოქმედებების შესახებ.

5.4.3 „გადამოწმების ეტაპზე“ კვლევის ყველა ანგარიში თითოეული საწარმოს მიხედვით შედარებული უნდა იყოს „შემოწმების ეტაპის“ მონაცემებთან და ასახული უნდა იყოს „გადამოწმების ეტაპის“ დასრულებისას შემაჯამებელი კვლევის შედეგების პრეზენტაციაში.

5.5 ამ პუნქტით გათვალისწინებული კვლევების რაოდენობა და ვადები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

6 კვლევის ეტაპებზე გასაწევი მომსახურების აღწერილობა

6.1 კვლევის ობიექტები:

6.1.1 საწარმოს მომსახურების ცენტრები ქალაქ თბილისის სამოქმედო არეალში;

6.1.2 საწარმოს მომსახურება;

6.1.3 სატელეფონო გამოკითხვა.

6.2 **კვლევის განხორციელების მეთოდები**

6.2.1 „საწარმოს მომსახურების ცენტრზე“ კვლევა უნდა განხორციელდეს „კონსულტაციით“, რომლის ფარგლებში:

6.2.1.1 პირველ რიგში უნდა შემოწმდეს ის მომსახურების ცენტრი, რომელიც არ არის საწარმოს სათაო ოფისი. თუ ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი დაადგენს, რომ მომსახურების ცენტრში არ ბარდება მიერთების ან სიმძლავრის გაზრდის განაცხადი, იგი ვალდებულია აღნიშნულ მომსახურების ცენტრში შეაფასოს რიგის მიმდინარეობა და გამოიკვლიოს რა განაცხადები ბარდება;

6.2.1.2 აღნიშნულის შემდეგ, მომხმარებელმა იმავე დღეს უნდა გადაინაცვლოს მითითებულ მომსახურების ცენტრში სადაც ბარდება მიერთების განაცხადი და გააგრძელოს „კონსულტაცია“ სრულად.

6.2.2 საწარმოს მომსახურებაზე კვლევა უნდა განხორციელდეს „დაკვირვებით“. „დაკვირვება“ მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს განაცხადის საწარმოში რეგისტრაციიდან არაუმეტეს მე-3 დღისა. შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლისათვის რეალურ მომხმარებელზე შესაბამისი მონაცემების გადაცემას მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე, მოთხოვნილი პერიოდის გათვალისწინებით.

6.2.3 შემოწმების ვადების დაცვის მიზნით, მიმწოდებელი უფლებამოსილია ერთი სახის განაცხადზე „დაკვირვება“ გაყოს ორ პერიოდად და დააკვირდეს სხვადასხვა მომხმარებელს, ისე, რომ კვლევა განხორციელდეს სრულფასოვნად, კერძოდ:

6.2.3.1 პირველი პერიოდის ფარგლებში, „დაკვირვება“ უნდა მოხდეს განაცხადის რეგისტრაციის მე-3-20 დღის ვადებში;

6.2.3.2 მეორე პერიოდის ფარგლებში, „დაკვირვება“ უნდა მოხდეს განაცხადის რეგისტრაციიდან 21-40 დღის ვადებში.

6.2.3.3 აღნიშნული ვადები შეიძლება შეიცვალოს შემსყიდველთან შეთანხმებით.

6.2.4 მიმწოდებელმა „კონსულტაციის“ და „დაკვირვების“ ნაცვლად (6.2.3 და 6.2.4 ქვეპუნქტები) საწარმოს მომსახურებაზე კვლევა შეიძლება განახორციელოს „სრული დაკვირვებით“. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს 6.2.2.1 ქვეპუნქტის მოთხოვნები.

6.2.5 „სრული დაკვირვებისას“, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი საწარმოს მომსახურების ცენტრში ვერ ჩააბარებს განაცხადს რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, მან კვლევა უნდა გააგრძელოს „სრული დაკვირვება“ იმავე საწარმოს მომსახურების ცენტრში, ამჯერად საწარმოს მოთხოვნების გათვალისწინებით, ისე რომ საწარმომ ჩაიბაროს განაცხადი.

6.2.6 „სატელეფონო გამოკითხვით“ კვლევა უნდა განხორციელდეს სისტემაში მონიშნულ იმ მომხმარებლებზე, რომელთა მოთხოვნაც დაკმაყოფილდა და მონიშნულია შესრულებულად. მოთხოვნის დაკმაყოფილებიდან არაუმეტეს ერთი თვისა. შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლისათვის ამ მომხმარებელზე შესაბამისი მონაცემების მიწოდებას მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღისა.

6.2.7 თითოეული კვლევის გეგმა და „შემოწმების აქტი“ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან „შემოწმების ეტაპის“ და „გადამოწმების ეტაპის“ დაწყებამდე. აღნიშნული მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა აცნობოს ელექტრონული ფორმით.

6.2.8 „შემოწმების აქტი“ უნდა შემუშავდეს შემსყიდველთან ერთად.

6.2.9 თითოეული კვლევის განხორციელებისას უნდა შედგეს „შემოწმების აქტი“. „შემოწმების აქტი“ უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

6.2.9.1 საწარმოს დასახელება რომელზეც მოხდა დაკვირვება;

6.2.9.2 კვლევის ობიექტი;

6.2.9.3 კვლევის სრული პროცესის აღწერა;

6.2.9.4 კვლევის ობიექტზე გამოვლენილი დარღვევები (სახეობების მიხედვით) და დარღვევების რაოდენობა;

6.2.9.5 კვლევის ობიექტზე გამოვლენილი დარღვევის ამსახველი მტკიცებულებები, ამ დარღვევების (მტკიცებულება, მტკიცებულების ნომერი ასეთის არსებობის შემთხვევაში, აუდიო ჩანაწერზე შესაბამისი დარღვევის ზუსტი დრო) ზუსტი მითითებით.

6.2.10 შემსყიდველთან „შუალედური ანგარიშის“ და „საბოლოო ანგარიშის“ წარმოდგენისას უნდა შედგეს „შუალედური შემოწმების აქტი“ და „საბოლოო შემოწმების აქტი“. „შუალედური შემოწმების აქტი“ და „საბოლოო შემოწმების აქტი“ უნდა შეიცავდეს საწარმოს მიხედვით შემდეგ ინფორმაციას:

6.2.10.1 რამდენი კვლევა განხორციელდა საწარმოზე;

6.2.10.2 კვლევის ობიექტები;

6.2.10.3 კვლევის ობიექტებზე განხორციელებული დაკვირვებების რაოდენობა;

6.2.10.4 კვლევის ობიექტზე გამოვლენილი ერთგვაროვანი დარღვევები და დარღვევების რაოდენობა;

6.2.10.5 საწარმოები რომლებზეც განხორციელდა კვლევა, ქულებით შეფასებული და სხვა საწარმოებთან შედარებული;

6.2.11 „შუალედური შემოწმების აქტს“ და „საბოლოოს შემოწმების აქტს“ თანდართული უნდა ჰქონდეს შემოწმების აქტები და შესაბამისი და მტკიცებულებები სისტემატიზებული ფორმით.

6.2.12 კვლევის პროცესში გამოვლენილი დარღვევები უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებებით, ისე რომ, შემსყიდველმა შეძლოს საქმის განხილვის საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და საჭიროების შემთხვევაში მითითებას სად იძებნება დარღვევა.

6.2.13 „შემოწმების აქტს“ უნდა ჰქონდეთ უნიკალური ნომერი და მათი აღრიცხვა უნდა ხდებოდეს შესაბამის ჟურნალში ან ელექტრონულ პროგრამაში/პორტალში. აღნიშნული უნიკალური ნომრით უნდა ხდებოდეს „შემოწმების აქტთან“ მტკიცებულებების დაკავშირება.

6.2.14 მომსახურების ცენტრში კვლევის ხელის შეშლის, განაცხადის არ მიღების ან სხვა მნიშვნელოვანი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ვალდებულია დააფიქსიროს აღნიშნული შესაბამისი მტკიცებულებებით, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის თაობაზე. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლისგან გამოითხოვოს გამოვლენილ კონკრეტულ დარღვევაზე შედგენილი შემოწმების აქტი და მტკიცებულებები. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული მასალები.

6.3 მიმწოდებლის მიერ კვლევის განხორციელება, მომხმარებლის ფინანსურად სტიმულირება და ტრანზაქციები

6.3.1 კვლევის განხორციელება:

6.3.1.1 მიმწოდებელს კვლევის განსახორციელებლად უნდა ჰყავდეს პროექტის მენეჯერი, რომელსაც დაექვემდებარება, ქოლ-ცენტრის მენეჯერი, ანალიტიკოსი, ვალიდატორი და კოორდინატორების მენეჯერი;

6.3.1.2 კოორდინატორების მენეჯერს, კვლევის არეალის გათვალისწინებით უნდა ექვემდებარებოდეს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების თითოეულ სექტორზე თითო კოორდინატორი, ხოლო თითოეული სექტორის კოორდინატორს თავის მხრივ უნდა ექვემდებარებოდეს ორი პირი, მინიმუმ ერთი მომხმარებელი და ერთი მომძიებელი;

6.3.1.3 მიმწოდებელმა უნდა გააფორმოს ხელშეკრულება პროექტის მენეჯერთან და კოორდინატორების მენეჯერთან.

6.3.2 მომხმარებლის ფინანსურად სტიმულირება:

6.3.2.1 მომხმარებლის მტკიცებულებით უზრუნველყოფილი დარღვევების (შეუსაბამობების) გამოვლენა ფინანსურად სტიმულირებული უნდა იყოს მიმწოდებლის მიერ და გავლენას უნდა ახდენდეს რეალური მომხმარებლის ანაზღაურებაზე. ასეთი ფინანსური სტიმულირების მექანიზმი ასევე უნდა ვრცელდებოდეს ისეთი გარეშე დარღვევების (შეუსაბამობების), ასევე დამატებითი სერვისების გამოვლენაზე, რომელსაც არ ითვალისწინებს შემოწმების აქტი და შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს მტკიცებულებებით;

6.3.2.2 მიმწოდებელი ვალდებულია ფინანსურად წაახალისოს მომხმარებელი და მომძიებელი;

6.3.2.3 მიმწოდებელი ვალდებულია დაკვირვებების განხორციელებისას ფინანსურად წაახალისოს რეალური მომხმარებლის კვლევაში მონაწილეობა, იმ შემთხვევაში თუ რეალური მომხმარებელი არ თანხმდება უსასყიდლოდ კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე;

6.3.2.4 ფინანსური სტიმულირების თაობაზე მიმწოდებელმა უნდა გააფორმოს ხელშეკრულება მომძიებელთან და მომხმარებელთან.

6.3.3 ტრანზაქციები:

6.3.3.1 მომხმარებლის მიერ განხორციელებული რეალური ფინანსური ტრანზაქციები არ აისახება მომსახურების შესასყიდ თანხაში.

7 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველთან წარმოსადგენი დოკუმენტაციები და მასალები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველთან წარმოადგინოს:

7.1.1 ამ ტექნიკური დავალების 6.3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული კვლევის განხორციელების სქემა, ხელშეკრულებები, აგრეთვე ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების თაობაზე;

7.1.2 ამ ტექნიკური დავალების 6.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული

ფინანსური სტიმულირების სქემა, ფინანსური სტიმულირების შესახებ ხელშეკრულების ტიპური ფორმა.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია ამ ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში შემსყიდველს მატერიალური და ელექტრონული ფორმით (ამ ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სისტემის დაცვით) წარუდგინოს:

7.2.1 „საბოლოო შემოწმების აქტი";

7.2.2 „შუალედური შემოწმების აქტი";

7.2.3 „შემოწმების აქტი";

7.2.4 კვლევის შედეგების პრეზენტაციები მატერიალური (ამობეჭდილი/ აკინძული სახით A4 ფორმატზე) და ელექტრონული ფორმით;

7.2.5 მტკიცებულებები: ფოტო მასალა, აუდიო ჩანაწერი ან/და კვლევის პროცესში მოპოვებული ნებისმიერი ფორმის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს დარღვევას. ამასთან მტკიცებულებები უნდა იყოს შესაბამისი ხარისხის (აუდიო ჩანაწერი უნდა ისმინებოდეს ხარისხიანად; ფოტოზე დაფიქსირებული დარღვევა უნდა იყოს გარჩევადი) და უნდა ხდებოდეს მისი შემოწმების აქტთან მარტივად დაკავშირება;

7.2.6 თითოეული განხორციელებული ტრანზაქციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

7.3 ელექტრონული ფორმით წარმოსადგენი ყველა მასალა, რომელიც შეიცავს ტექსტურ ნაწილს (მონაცემთა ბაზები, Microsoft Excel–ის, Microsoft Power Point-ის ან სხვა ფორმატის ფაილი), შესრულებული უნდა იყოს შრიფტ sylfaen–ში ქართულ ენაზე;

7.4 წარმოდგენილი მონაცემთა ბაზები და ელექტრონული ფორმატის დოკუმენტაციები და მასალები განთავსებული (ჩაწერილი) უნდა იყოს ერთ მატარებელზე (ფლეშ–ბარათზე, ოპტიკურ ან მყარ დისკზე).

7.5 ელექტრონული და მატერიალური ფორმით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასალები სტრუქტურირებული და სისტემატიზებული უნდა იყოს მონაცემთა ბაზაში, ელექტრონულ პროგრამაში და ჟურნალში (დანომრილი და დასათაურებული) შემდეგი თანმიმდევრობით:

7.5.1 „საბოლოო შემოწმების აქტი";

7.5.2 „შუალედური შემოწმების აქტი";

7.5.3 „შემოწმების აქტი" თითოეული კვლევისთვის;

7.5.4 „შემოწმების აქტთან" დაკავშირებული მტკიცებულებები.

7.6 შემოწმების განხორციელებისას შემსყიდველსა და მიმწოდებლის წარმომადგენლებს შორის უნდა არსებობდეს კომუნიკაცია (ნებისმიერი ფორმით) შემოწმების პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

7.7 მიმწოდებლის მიერ კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას. მიმწოდებლის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავების წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით.

7.8 ამ ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს გამოითხოვოს მიმწოდებლის მიერ მომხმარებელთან და მომძიებელთან ფინანსური სტიმიულირების მექანიზმებს თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებები.

მომსახურების ხარისხის კვლევა

დანართი N 2

შემოწმების ეტაპი (ნაწილი N1)

კვლევის სახე	საწარმო რომელზეც უნდა განხორციელდეს კვლევა	კლასიფიკატორი და რაოდენობა	
		ახალი მიერთება (მათ შორის ერთობლივი კვლევა) და სიმძლავრის გზრდა	
კონსულტაცია	სს „თელასი"	2	
	შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"	2	
	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	2	
		სულ 6 კონსულტაცია	
		ახალი მიერთება	სიმძლავრის გაზრდა
დაკვირვება	სს „თელასი"	2	0
	შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"	2	0
	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	2	0
		სულ 6 დაკვირვება	
სატელეფონო გამოკითხვა	სს „თელასი"	6	6
	შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"	6	6
	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	6	6
		სულ 36 გამოკითხვა	

გადამოწმების ეტაპი (ნაწილი N2)

კვლევის სახე	საწარმო რომელზეც უნდა განხორციელდეს კვლევა	კლასიფიკატორი და რაოდენობა	
		ახალი მიერთება (მათ შორის ერთობლივი კვლევა) და სიმძლავრის გზრდა	
კონსულტაცია	სს „თელასი"	2	
	შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"	2	
	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	2	
		სულ 6 კონსულტაცია	
დაკვირვება	სს „თელასი"	1	
	შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"	1	
	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	1	
	რეზერვი	0	
		სულ 3 დაკვირვება	
სატელეფონო გამოკითხვა	სს „თელასი"	6	6
	შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"	6	6
	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	6	6
		სულ 36 გამოკითხვა	

GEORGIA 4SERV'CE GE SALES LTD 405095329

ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი დღგ-ს გარეშე 4194)			
			დანართი N3
	შემოწმების ეტაპი		
კვლევის სახე	ერთეულის ფასი	საერთო რაოდენობა	სულ თანხა
კონსულტაცია	39	6	234
დაკვირვება	382	6	2292
სატელეფონო გამოკითხვა	4	36	144
		სულ	2670
	გადამოწმების ეტაპი		
კვლევის სახე	ერთეულის ფასი	საერთო რაოდენობა	სულ თანხა
კონსულტაცია	39	6	234
დაკვირვება	382	3	1146
სატელეფონო გამოკითხვა	4	36	144
		სულ	1524